



საქმე # 140210015001106887



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

საქმე №28/997-16
“29” თებერვალი, 2016 წელი

თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები:
ლილი ტყემალაძე
ეკატერინე ცისკარიძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი - სს „თ. ბ.“
წარმომადგენელი - ნ. დ.

მოწინააღმდეგე მხარე - მ. ქ.

გასაჩივრებული განჩინება - გორის რაიონული სასამართლოს 01.10.2015წ. განჩინება
სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე
მითითება:

გორის რაიონული სასამართლოს 01.10.2015წ. განჩინებით უარი ეთქვა სს „თ. ბ.-
ს“ (ს/№XXXXXXXXXX) სარჩელის განსახილველად მიღებაზე როგორც გორის
რაიონული სასამართლოს არაგანსჯადი საქმეს და დაუბრუნდა შემოტანილი
საბუთები; მოსარჩელეს განემარტა, რომ მოცემულ საქმეზე განსჯად სასამართლოს
წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლო;



განჩინება ეფუძნება შემდეგს:

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის („ე“ ქვეპუნქტი).
- სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მიხედვით, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
- ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს განსაკუთრებული განსჯადობის წესს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულდეს.
- მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მოპასუხის მიერ მოსარჩელისაგან საკრედიტო ვალდებულებების აღების, ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებებიდან, საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებიდან არ ჩანს ხელშეკრულების შესრულების ადგილი. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელს არ ერთვის თან რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მხარეთა შეთანხმებას ხელშეკრულების შესრულების ადგილის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 386.1 მუხლით, რომლის თანახმად, ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილის საეჭვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფელის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით კი, კრედიტორის ადგილსამყოფელია ქალაქი თ., მ.-ს ქ. №X.
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში გორის რაიონული სასამართლო არ წარმოადგენს განსჯად სასამართლოს, რის გამოც მოსარჩელემ სს „თ. ბ.-მ“ წარმოდგენილი სარჩელით უნდა მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ან ხაშურის რაიონულ სასამართლოს.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ: ა) სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას; ბ) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ; გ) ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და



იმავე საფუძვლით; დ) მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს; ე) საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის; ვ) სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა; ზ) დაინტერესებული პირის სახელით სარჩელი შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე; თ) სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველებით მოსამართლის მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ხელს არ უშლის პირს, განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა.

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას. განჩინებაში უნდა მიეთითოს აგრეთვე, თუ როგორ უნდა იქნეს აცილებული საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებანი. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები.

გორის რაიონული სასამართლოს 01.10.2015წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს „თ. ბ.-მ“ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქმე კერძო საჩივართან ერთად სააპელაციო პალატას გადმოეგზავნა 24.02.2016წ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 26.02.2016წ. განჩინებით კერძო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში.

სააპელაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ კერძო საჩივარს, შეისწავლა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის “ე” ქვეპუნქტით, გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

დადგენილია, რომ გორის რაიონული სასამართლოს 01.10.2015წ. განჩინებით სს „თ. ბ.-ს“ უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე იმ საფუძველზე, რომ გორის რაიონული სასამართლო არ წარმოადგენდა წინამდებარე საქმეზე განსჯად სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს როგორც საერთო განსჯადობის, ასევე განსაკუთრებული განსჯადობის შემთხვევებს. განსაკუთრებული განსჯადობის რეჟიმი გამოწვეულია შესაბამის კატეგორიას დაქვემდებარებულ სარჩელთა დამახასიათებელი თავისებურებით. განსაკუთრებული განსჯადობის განმსაზღვრელი ნორმა სპეციალურ ნორმათა კატეგორიას განეკუთვნება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი გამოყოფს სარჩელებს, რომლებზეც ვრცელდება განსაკუთრებული განსჯადობა. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება, შესაბამისად, სახეზეა განსაკუთრებული განსჯადობა. ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების ადგილი პირდაპირ განსაზღვრული არ არის. ამასთან, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მსჯელობას მასზედ, მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებებით ხომ არ იკვეთება მათი საერთო ნება (ნების შეთანხმება) ვალდებულების შესრულების ადგილის შესახებ.

პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების შესრულება გულისხმობს: ერთის მხრივ, ბანკის ვალდებულებას დაუშვას კლიენტის საბარათო ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო ლიმიტი (გასცეს კრედიტი) და მეორეს მხრივ, მსესხებლის ვალდებულებას - საკრედიტო ლიმიტის დაფარვის მიზნით შეთანხმებული პერიოდულობით შეიტანოს მინიმალური დასაფარი თანხა, პროცენტი. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო. სარჩელს ერთვის ამონაწერი მოპასუხის ანგარიშიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მოპასუხის T. p. C.-ზე ტრანზაქციები ხორციელდებოდა ქ. გორში. გასაჩივრებული განჩინებით აღნიშნული გარემოება შეფასებული არ არის.



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა გამოარკვიოს მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებებით - ანუ თანხის გაცემით, ასევე კრედიტის ნაწილის დაფარვითა და გადახდის მიღების მეშვეობით - განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების ადგილი. მხოლოდ აღნიშნული საკითხის გამორკვევის შემდგომ გადაწყვეტოს წინამდებარე საქმეზე განსჯადობის საკითხი.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „თ. ბ.-ს“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს გორის რაიონული სასამართლოს 01.10.2015წ. განჩინება სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ და სს „თ. ბ.-ს“ სარჩელი დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
2. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე:

თ. ზამზახიძე

მოსამართლეები:

ლ. ტყემალაძე

ე. ცისკარიძე